ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# საინფორმაციო ბროშურა

## აბიტურიენტებისთვის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

2020- 2021 სასწავლო წელი

**რატომ თსუ?**

- თსუ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2 %-შია (U.S. News & World Report 2019);
- თსუ-ს ჰყავს 200-ზე მეტი საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტი მსოფლიოს 56 ქვეყანაში;
- ერაზმუს+ საერთაშორისო მობილობის ფარგლებში 2015-2019 წწ. - დაფინანსდა 256 პროექტი ევროპის 26 ქვეყნის 99 უნივერსიტეტთან; 2020-2022 წწ. – 129 საპროექტო განაცხადი ერაზმუს+ საერთაშორისო მობილობის ფარგლებში;
- უნივერსიტეტში მოქმედებს 24 უცხოენოვანი პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო. სადოქტორო და ერთსაფეხურიანი, მათ შორის საერთაშორის აკრედიტაციის მქონე საჯარო მმართველობის და ქიმიის, ABET აკრედიტებული ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამები;
- 22 000-მდე სტუდენტი (მათ შორის 600-ზე მეტი უცხოეთის მოქალაქე) სწავლობს 240-მდე საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- თსუ ყველაზე მოთხოვნადი უნივერსიტეტია საქართველოში - აბიტურიენტთა ¼-სთვის კვლავ პირველი არჩევანია;
- თსუ ბიბლიოთეკებში განთავსებულია 8 მილიონამდე წიგნი და 22 მილიონზე მეტი გამოგონება/პატენტი 60 ქვეყნიდან, სტუდენტებსა და პროფესორებს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებსა და რესურსებზე;
- სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ თსუ სამეცნიერო კვლევებში - ყოველწლიურად ტარდება 200-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი, ერთობლივ კვლევებში მონაწილეობს 3 000-მდე უცხოელი მეცნიერი;
- თანამედროვე სასწავლო სივრცეები - 16 კვლევითი ინსტიტუტი, 85-მდე სასწავლო ლაბორატორია;
- თსუ იძლევა აქტიური სტუდენტური, კულტურული და სპორტული ცხოვრების შესაძლებლობას - 2017-2019 წლებში გაცემულია 22 მილიონ ლარამდე დაფინანსება სტუდენტური პროექტებისთვის; ყოველწლიურად ტარდება 350-ზე მეტი სტუდენტური ღონისძიება;
- სტუდენტებს ემსახურება თანამედროვე საერთო საცხოვრებელი, განახლებული კაფეტერიები;
- თსუ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი სხვადასხვა კვალიფიკაციის მიხედვით 70-100%-ია.

## ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

## ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

**მიზანი:**

ფსიქოლოგიის მეცნიერებაში და მის სხვადასხვა დარგებში ფუნდამენტური ცოდნის შეძენა და ამ ცოდნის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოყენება.

**პროფესია - ფსიქოლოგი**

სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის ფსიქიკისა და ქცევის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს; გაეცნობიან ფსიქოლოგიის ისეთ დარგებს, როგორებიცაა განვითარების ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, ნეიროფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური კონსულტირება, ფსიქოდიაგნოსტიკა, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია ასევე, განწყობის ფსიქოლოგია.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია -** სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში.

**დასაქმების პერსპექტივა:**

- ადამიანური რესურსის მართვის მენეჯერი და ორგანიზაციული ფსიქოლოგი;
- განათლების ფსიქოლოგი;
- ნეიროფსიქოლოგი;
- სკოლის ფსიქოლოგი;
- ფსიქოლოგ-კონსულტანტი;
- სოციალურ მეცნიერებებში / მარკეტინგულ კვლევებში კვლევის სპეციალისტი და სხვ.
- ფსიქოლოგები წარმატებით საქმდებიან სკოლებში, კლინიკებში, საჯარო და კერძო ორგანიზაციებში.

**საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პროცედურები:**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე **სავალდებულო საგნებია:**

- ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 4; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 40%-ზე მეტი);
- უცხო ენა (კოეფიციენტი 4; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 40%-ზე მეტი).

**არჩევითი საგნებია:**

- მათემატიკა (კოეფიციენტი 4; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 25%-ზე მეტი);
- ისტორია (კოეფიციენტი 4; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 40%-ზე მეტი).

**მისაღები კონტიგენტი - 225 სტუდენტი:**

- მათემატიკა - 70;
- ისტორია - 155.

**სტუდენტთა სამეცნიერო კლუბი**

- ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა გაერთიანებაა.
- კლუბის წევრ სტუდენტთა ინტერესს წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაღრმავება, კვლევითი ინტერესების და იდეების გაზიარება და ფსიქოლოგიის სფეროში არსებული თანამედროვე კვლევების გაცნობა.

**განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი**

**დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **განათლების მაგისტრი.**

სწავლის ხანგრძლივობა - 5 წელი /300 კრედიტი/.

**მიზანი:** დაწყებითი განათლების საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება.

**დასაქმების პერსპექტივა:**

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი;

- I-IV კლასების ქართულის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;
- დამატებით V-VI კლასის ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველებიდან ერთ-ერთის, ორის ან სამივე საგნის მასწავლებელი;

2. განათლების საკითხზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი.

**პროფესია - მასწავლებელი**

სტუდენტები საგნობრივ დისციპლინებთან ერთად შეისწავლიან მასწავლებლის პროფესიისთვის ისეთ მნიშვნელოვან საგნებს, როგორიცაა: პედაგოგიკა, ზოგადი და განვითარების ფსიქოლოგია, განათლება და ბავშვთა უფლებები, სამოქალაქო განათლება, ინტერკულტურული განათლება, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინკლუზიური განათლება, რელიგიის ისტორია და სხვა.

სასწავლო პროცესი მოიცავს **პერმანენტულ პედაგოგიურ პრაქტიკას.**
პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს - **სამაგისტრო ნაშრომის** სახით.

**საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პროცედურები:**

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე **სავალდებულო საგნებია:**

- ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 5; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50%-ზე მეტი);
- უცხო ენა (კოეფიციენტი 2; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 30%-ზე მეტი).

**არჩევითი საგნები:**

- მათემატიკა (კოეფიციენტი 5; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20%-ზე მეტი);
- ისტორია (კოეფიციენტი 5; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 40%-ზე მეტი).

**მისაღები კონტიგენტი - 50 სტუდენტი:**

- მათემატიკა -25;
- ისტორია - 25.

**პროგრამას აფინანსებს სახელმწიფო.**



# მულტილინგვური განათლება-დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **განათლების მაგისტრი.**

სწავლის ხანგრძლივობა - 5 წელი (300 კრედიტი).

**მიზანი:** დაწყებითი განათლების საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება, რომელიც ფლობს I - IV კლასების მშობლიური ენის (სომხური/აზერბაიჯანული) ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ კომპეტენციებს.

**დასაქმების პერსპექტივა:**

1.ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი:

- I-IV კლასების ქართულის, როგორც მეორე ენის, მშობლიური ენის (სომხური / აზერბაიჯანული), მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;
- დამატებით V-VI კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის, მშობლიური ენის (სომხური / აზერბაიჯანული), მათემატიკისა და ბუნებისმეტყველებიდან ერთ-ერთის, ორის ან სამივე საგნის მასწავლებელი;

2. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ განათლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო (საგანმანათლებლო რესურსცენტრები, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ-ებსა და სხვა ქვეუწყებებში) და არასამთავრობო სექტორში.

საგანმანათელებლო პროგრამა „მულტილინგვური (მრავალენოვანი) განათლება“ მომზადდა TEMPUS-ის პროექტის **DIMTEGU** („მულტილინგვალ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“) ფარგლებში.

ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა პროგრამის სასწავლო რესურსები და ითარგმნა სახელმძღვანელოები.

პროგრამის საგნობრივი (სავალდებულო) მიმართულებები: (ქართული, როგორც მეორე ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებები) წარმოდგენილია ბლოკების სახით;

მშობლიური ენა არჩევით-სავალდებულო 2 მოდულადაა წარმოდგენილი:

I მოდული - სომხური ენისა და ლიტერატურის /ქართული ენისა და ლიტერატურის (მეორე ენა), მათემატიკის, ბუნებისმცოდნეობის და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების მასწავლებელი (I-IV კლასები);

II მოდული - აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის /ქართული ენისა და ლიტერატურის (მეორე ენა), მათემატიკის, ბუნებისმცოდნეობის და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების მასწავლებელი (I-IV კლასები).

სასწავლო პროცესი მოიცავს **პერმანენტულ პედაგოგიურ პრაქტიკას.**
პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს - **სამაგისტრო ნაშრომის** სახით.

**საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პროცედურები:**

მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე **სავალდებულო საგნებია:**

- ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 6; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 51%-ზე მეტი);
- უცხო ენა (კოეფიციენტი 3; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21%-ზე მეტი).

**არჩევითი საგნებია:**

- მათემატიკა (კოეფიციენტი 3; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21%-ზე მეტი);
- ისტორია (კოეფიციენტი 3; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 41%-ზე მეტი).

მისაღები კონტიგენტი - **50 სტუდენტი:**

- მათემატიკა -25;
- ისტორია - 25.

**განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა:**

- თბილისისა და რეგიონების მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლებთან მემორანდუმები;
- თბილისისა და რეგიონების მასშტაბით არაქართულენოვან საჯარო და კერძო სკოლებთან მემორანდუმები;
- მასწავლებელთა სამეცნიერო პრაქტიკული ყოველწლიური კონფერენცია „ უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“;
- მოსწავლეთა კონფერენციები;

**განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის სტუდენტთა გაერთიანებების (მომავალ პედაგოგთა კლუბი და წიგნის მოყვარულთა წრე) აქტივობები:**

- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები;
- სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები;
- საჯარო და გასვლითი ლექციები;
- ბავშვთა დღის ცენტრის აღსაზრდელთათვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებები;

**სოციალური და სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის აქტივობები:**

- კინოჩვენებები;
- სამოქალაქო აქტივობები;
- თსუ ახალგაზრდული ცენტრი;
- ტუტორიუმის პროგრამა (ქართულ ენაში მომზადება სტუდენტებისათვის).

# ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა

## პროფესია - ოკუპაციური თერაპია

ოკუპაციური თერაპია პიროვნებაზე ორიენტირებული პროფესიაა, რომელიც ხელს უწყობს განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირებს ანდა მოწყვლად ჯგუფებს, ჩაებან მათთვის მნიშვნელოვან საქმიანობებში და მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება.

ამ მიზანს ოკუპაციური თერაპევტები, ერთი მხრივ, პიროვნების უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობით, ხოლო, მეორე მხრივ, გარემოსა და საქმიანობის მორგების, ადაპტაციის გზით აღწევენ, რათა საბოლოოდ ადამიანმა მისთვის საჭირო და სასურველი ყოველდღიური აქტივობების შესრულება, სრულფასოვნად ცხოვრება და ფუნქციონირება შეძლოს.

## მიზანი

კომპეტენტური (პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევისა და დამოკიდებულების მქონე) ოკუპაციური თერაპევტების მომზადება, რომლებიც იმუშავებენ ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკის ნებისმიერ სფეროში მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომისა და პროფესიული ეთიკის დაცვით.

## ვინ არის ოკუპაციური თერაპევტი?

ადამიანის ჯანმრთელობაზე მზრუნველი პროფესიონალი:

- რომელიც მუშაობს ნებისმიერი ასაკისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანთან ანდა ადამიანთა ჯგუფთან (ორგანიზაციებთან, თემთან);
- ვისი ძირითადი პროფესიული ამოცანაა, ადამიანმა შეძლოს ფუნქციონირება, თვითრეალიზება და მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- რისთვისაც შემდეგ თერაპიულ ხერხებს იყენებს: ადამიანს რთავს მისთვის ღირებულ საქმიანობაში; გარემოს არგებს ადამიანის შესაძლებლობებს; იძიებს კონკრეტული ქმედების შესრულების ალტერნატიულ გზებს; ხელს უწყობს საქმიანობის შესრულებისთვის საჭირო უნარებისა თუ უნარ-ჩვევების განვითარებას.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ოკუპაციური თერაპიის თეორიებს, პრაქტიკის პროცესის მიმდინარეობას ბავშვთან, ზრდასრულთან, ხანდაზმულთან, მოწყვლად ჯგუფთან მუშაობისას.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია -** ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი

**დასაქმების პერსპექტივა:**

ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრიატის პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების კოეფიციენტი არის 100%.

პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმება შესაძლებელია პრაქტიკის შემდეგ სფეროებში:

- პედიატრიული;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის;
- ნევროლოგიური;
- ორთოპედიული;
- გერიატრიული;
- განათლების;
- თემზე დაფუძნებული (ოკუპაციურად მოწყვლად, დეპრივირებულ ჯგუფებთან).

დასაქმების ადგილებია:

- რეაბილიტაციის, დღისა თუ სადღეღამისო ზრუნვის ცენტრები;
- სტაციონარი, ამბულატორია;
- მზრუნველობას მოკლებულ პირთათვის არსებული სახლები და საცხოვრისები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- დასაქმების მხარდამჭერი ცენტრები;
- დამხმარე საშუალებების შექმნის, შერჩევისა და მორგების მომსახურების გამცემი ორგანიზაციები;
- სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ინკლუზიის საკითხებზე.

**საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პროცედურები:**

საბაკალავრო პროგრამა ოკუპაციური თერაპიაზე ჩაბარების მსურველთათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე **სავალდებულო საგნებია:**

- ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 4; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 41%-ზე მეტი);
- უცხო ენა (კოეფიციენტი 4; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 41%-ზე მეტი);

- ბიოლოგია (კოეფიციენტი 3; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 41%-ზე მეტი).

**შენიშვნა: „ოკუპაციური თერაპიის“ პროგრამაზე უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება.**

**არჩევითი საგნებია:**

- ფიზიკა (კოეფიციენტი 1; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 26%-ზე მეტი);
- ქიმია (კოეფიციენტი 1; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 26%-ზე მეტი);
- მათემატიკა (კოეფიციენტი 1; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21%-ზე მეტი).

**მისაღები კონტიგენტის რაოდენობა** - 10 სტუდენტი:

- ფიზიკა - 3;
- ქიმია - 3;
- მათემატიკა - 4.

**სტუდენტური კლუბი**

ოკუპაციური თერაპიის სტუდენტების ინიციატივით შეიქმნა გაერთიანება, რომელიც ღიაა სხვა ფაკულტეტისა თუ პროგრამის სტუდენტებთან თანამშრომლობისათვის და მიზნად ისახავს იმ პროექტებზე მუშაობას, რომლებიც ხელს უწყობს:

- ოკუპაციური თერაპიის დარგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას;
- სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტების მიერ ერთმანეთის გაძლიერებას;
- სხვადასხვა ქვეყნის ოკუპაციური თერაპიის სტუდენტების კავშირების გამყარებას.

**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი:**

- მუდმივად ჩართულია სამეცნიერო კვლევებში;
- მონაწილეობას იღებს საერთაშორისო კონფერენციებში;
- მონაწილეობს სამეცნიერო გრანტებში;
- უზრუნველყოფს სამეცნიერო საგრანტო პროექტებში სტუდენტების ჩართვას;
- დასაქმებულია სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;
- აქტიურად თანამშრომლობს განათლების სფეროს სტრუქტურებთან.

**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო გარემო:**

- 2 ლაბორატორია;
- 2 ტრენინგ ცენტრი;
- 1 სასწავლო რესურს-ცენტრი;
- ბიბლიოთეკა.

**ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი**

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს:

- სტუდენტების დახმარება ფსიქოლოგიური პრობლემებისა და სწავლასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური სირთულეების დაძლევაში, კარიერის ეფექტური დაგეგმისთვის საჭირო სოციალური და პრაქტიკული უნარების (დროის მართვა, პრობლემის გადაჭრა, და სწავლის სტრატეგიები და სხვა) შეძენაში;
- სტუდენტების ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტირება;
- სატრენინგო პროგრამების ჩატარება ინტერპერსონალური, კომუნიკაციური და პერსონალური უნარების გასაუმჯობესებლად;
- სტუდენტებისთვის პრაქტიკული ჩვევების ათვისებისა და სუპერვიზიის უზრუნველყოფა.

**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სასტიპენდიო პროგრამები**

**ბაკალავრიატი:** სტუდენტთა ფინანსური წახალისება - პროგრამა ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს"

**საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობა:**

- საერთაშორისო საუნივერსიტეტო კონფერენციები;
- კვლევითი პროექტები;
- საერთაშორისო მოდელირებები;
- გაცვლითი პროგრამები;
- სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები (ტრენინგები, სემინარები და სხვა) და სასწავლო კურსები;
- საზაფხულო და სხვა სკოლები;
- სტუდენტური კონგრესები, სიმპოზიუმები, შეხვედრები და სხვა სტუდენტური პროექტები;

ყოველწლიურად ფაკულტეტი აფინანსებს საშუალოდ 16 სტუდენტს.

**თსუ საერთაშორისო ურთიერთობები**

- თსუ-ში მოქმედებს შემდეგი გაცვლითი პროგრამები - ერაზმუს +, ერაზმუს მუნდუსი, მევლანას, მარი კიურის, DAAD პროგრამები, ასევე, სხვადასხვა ინგლისურენოვანი, გერმანულენოვანი, იტალიურენოვანი და ფრანგულენოვანი პროგრამები.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში 2019-2021 წლებში სტუდენტებისა და პერსონალის ორმხრივი მობილობების დასაფინანსებლად 125 განაცხადი მოამზადა 23 ევროპული ქვეყნის 125 უნივერსიტეტთან. მათგან 78-თან თსუ უკვე წარმატებით თანამშრომლობს, 47 უნივერსიტეტთან კი პირველად მომზადდა საპროექტო განაცხადი.
- 2015 წლიდან დღემდე თსუ წარმატებით ახორციელებს ERASMUS+ 181 პროექტს ევროპის 26 ქვეყნის 85 უნივერსიტეტთან, რომელთა ფარგლებშიც 1146 მობილობა განხორციელდა.
- თსუ პირველია სამხრეთ კავკასიის რეგიონში იმ სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობით /300-ზე მეტი/, რომლებიც 2018-2020 სასწავლო წლებში ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის /ICM/ ფარგლებში დაფინანსებული პროგრამით ევროპის უნივერსიტეტებში ისწავლიან და აიმაღლებენ კვალიფიკაციას.

- 2015-2018 წლებში ევროპის და სხვა ქვეყნებში გაცვლით პროგრამებში თსუ-ს 800-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.
- თსუ-ს ინსტიტუციური პარტნიორების რიცხვი მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში 200-ს აღწევს.

**აქტიური სტუდენტური ცხოვრება:**

**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა:**

- სპექტაკლები
- ქომაგთა კლუბი
- ექსკურსიები
- ლაშქრობები
- სტუდენტური ბანაკები

**კონტაქტი:**

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. 11

ტელ: 2 25 04 84

https://www.tsu.ge/ge/faculties/psychology

ელ-ფოსტა: tsu.psychology@tsu.ge